



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

11 / 09 20 14 წ. თბილისი № 691

2014 წლის 11-13 სექტემბერს ქ. თბილისში, საქართველოს ზოგიერთ რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების განხორციელების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად, 2014 წლის 11 სექტემბრის 19.00 სთ-იდან 13 სექტემბრის 19.00 სთ-მდე ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოების, ასევე ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოების სამოქმედო ტერიტორიებზე ჩატარდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიება.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებაში მონაწილეობა დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) შემდეგ დანაყოფებს:

- ა) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;
- ბ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;
- გ) ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;
- დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო;



ე) ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო;
ვ) შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო;
ზ) კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო;
თ) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

3. დაევალოს ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დანაყოფებს სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების მიზნით საიდუმლო გეგმის შემუშავება და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

4. დაევალოს სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებაში მონაწილე სამინისტროს მოსამსახურეებს:

ა) სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ შესაბამისი სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლითა და ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით;

ბ) სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელების პროცესში „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) პირის ზედაპირული შემოწმება ტარდება მხოლოდ ტანსაცმლის გარე ზედაპირზე ხელის, სპეციალური ხელსაწყო ან საშუალების შეხებით;

ბ.ბ) ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება ტარდება მხოლოდ ნივთის ან/და სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – საბარგულის ვიზუალური დათვალიერებით;

ბ.გ) თუ ზედაპირული შემოწმების დროს წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, პოლიციელი ატარებს ჩხრეკას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

გ) დანაშაულის ან სხვა სახის სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

6. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი,
პოლიციის პოლკოვნიკი



ალექსანდრე ჭიკაძე